# ჩვენთან ერთად იზეიმეთ ენების ევროპული დღე 26 სექტემბერს!

## რის ნახვას შეძლებ ეედ-ის ვებგვერდზე?

- იმ ღონისძიებებისა და აქტივობების განრიგს, რომლებიც იმართება მთელ მსოფლიოში ენების დღის აღსანიშნავად;
- მიმდინარე ინფორმაციას ეედ-ის შესახებ 20-ზე მეტ ენაზე;
- ფაქტებსა და მონაცემებს ენების შესახებ;
- მასალას მასწავლებლებისათვის/ღონისძიების ორგანიზატორებისათვის (ეედ-ის ღონისძიებისა და აქტივობების მაგალითები);
- ონლაინთამაშებს თქვენი ცოდნისა და უნარების შესამოწმებლად;
- იდიომებს, სასაცილო სიტყვებს, მთარგმნელის „ცრუ მეგობრებს“, ძალიან გრძელ სიტყვებს, პალინდრომებს, ენის გასატეხებს და ევროპის მდიდარი ენობრივი ლანდშაფტის განსხვავებისა და მსგავსების ბევრ სხვა მაგალითს;
- ყველაზე ინოვაციური ღონისძიებისათვის ხმის მიცემის საშუალებას.

## როგორ ჩავერთო აღნიშვნის ღონისძიებაში?

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებს, პარტნიორებსა და კერძო პირებს თავისუფლად შეუძლიათ თავად გაუწიონ ორგანიზება, ან დაეხმარონ სხვას აქტივობების ორგანიზებაში და გამოიყენონ ეედ-ის ვებგვერდი და სარეკლამო მასალები.

იდეები

- გაუწიე ორგანიზება ისეთ ღონისძიებას, როგორიცაა, მაგალითად, ენობრივი კაფე, წვეულება, შეჯიბრება, სადილი....
- დაიწყე ბლოგის წერა ენების შესახებ
- დაწერე ელექტრონული წიგნი/ჟურნალი
- შექმენი საკუთარი ენობრივი ტესტი სტუდენტებისთვის/სკოლისთვის/მეზობლებისათვის...
- ჩაატარე ღია ბარათების/ პოსტერების/ ვიდეო-/ ფოტო-/ ლიტერატურული/ მუსიკალური შეჯიბრება ან თამაშები.

გახადე პოპულარული საკუთარ ღონისძიება ეედ-ის ვებგვერდზე მონაცემთა ბაზაში ატვირთვით!

უამრავი იდეა და მასალები მასწავლებლებისათვის იხილე: http://edl.ecml.at/teachshare.

## ვინ არის ეედ-ის კოორდინატორი?

ენების ევროპული დღის კოორდინატორია ევროპის საბჭო: ენობრივი პოლიტიკის განყოფილება (სტრასბურგი) და ევროპის საბჭოს თანამედროვე ენების ევროპული ცენტრი (გრაცი).

40-ზე მეტ ქვეყანაში ეროვნული საკონტაქტო პირები ხელს უწყობენ ეედ-ის მასალების გავრცელებასა და ამ დღის რეკლამირებას.

## თქვენი ეროვნული საკონტაქტო პირი:

Dr. Professor Marika Odzeli
Apt.2 Iakob Nikoladze str. 5A
0179 Tbilisi, Georgia
tel: +995 577 173 303
makodzeli@hotmail.com

